სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #15

გორი

ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის კონსტანტინე თავზარაშვილი სახით სახით და მეორეს მხრივ, შპს“ „მულტიმედიასერვისი“ ს/კ 205059185 (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსი სვანიძის სახით ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს 1 ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – `ხელშეკრულება~) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- `ხელშეკრულების ღირებულება~ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- `დღე~, `კვირა~, `თვე~ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- `შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- `მიმწოდებელი” – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- `მომსახურება” – ხელშეკრულების მე–1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
- „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს გორის მუნიციაპლიტეტის მერიის 2021 წლის ბიუჯეტის სახსრებით მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სერვისი/მომსახურების (CPV 64212100) შესყიდვა, კერძოდ:

1.1.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის მომსახურებას შემსყიდველის მიერ მიწოდებულ მობილურ ნომრებზე;

1.1.2 მოკლე ტექსტურ შეტყობინებების მიღების სახელწოდება: შემსყიდვლთან შეთანხმებით;

1.1.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არასასურველი მოკლე ტექსტური შეტყობინებაზე უარყოფა ტექსტით NO******info ნომერზე XXXX;

1.1.4 ერთი მოკლე ტექსტური შეტყობინების სიმბოლოების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 160 სიმბოლოს.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ერთეული მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის მომსახურების ღებულება შეადგენს 0,008 (ნული და 008 თეთრი) ლარს;

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს, მომსახურების მიწოდებასთან, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების გათვალისწინებით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიძლება დაკორექტირდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულებისა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 უზრუნველყოს მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის ტექნიკურად გამართული მუშაობა, ხელშკრულების მოქმედების განმავლობაში.

3.1.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

3.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი მიაწვდის შემსყიდველს აბონენტებთან მიმართულებით განხორციელებული შეტყობინების რაოდენობას.

3.1.4 შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს პრობლემის აღმოფხვრა.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

3.2.2 შემსყიდველი აბონენტის მობილურ ნომრებს და მონაცემებს აწვდის შემდეგ ელ-მისამართზე: alex@funmms.ge

3.2.1 უზრუნველყოს " მიმწოდებლისთვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების პირობები

4.1 მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2 შემსყიდველი უგზავნის მიმწოდებელს დარეგისტრირებული აბონენტების მონაცემებს, რომელსაც მიმწოდებელი მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით უგზავნის აბონენტებს.

4.2 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5.მიწოდების ადგილი და ვადები

5.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემყიდველის მიერ მიწოდებულ მობილურ ნომრებზე.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, წერილობითი ფორმით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი ზვიად ანესაშვილი.

8.ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.4. პუქტის გათვალისწინებული მომსახურების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ღებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.3 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელის მოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია ელექტრონულად და ინახება მხარეებთან.

16.2ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დაამოწმებს/დაადასტურებს მას ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.

17.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი გორის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 218086087
მის:1400 გორი, ფერაძის #5
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა; TRESGE22
სახაზინო კოდი ა/№ 300843460
ელ-ფოსტა: mosakrebeli.gori.reg@gmail.com
გორის მუნიციაპლიტეტის მერი
კონსტანტინე თავზარაშვილი

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2021.01.05 09:47:54 +04'00'

მიმწოდებელი
შპს მულტიმედია სერვისი"
ს/კ: 205059185
მის: თბილისი, ფალიაშვილის **#17.**
ბანკი: სს „თიბისი ბანკი" ბანკის
კოდი: **TBCBGE22**
ა**/№GE64 BG08 0000 0001 4673 95**
ელ-ფოსტა: alex@fumms.ge

დირექტორი
ალექსი სვანიძე